გრასრუტების კულტურული გრანტი
თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში იაპონური ენის აუდიტორიისათვის იაპონური ენის შესასწავლი აღჭურვილობის გახსნის ცერემონია

17 ოქტომბერს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში გაიმართა გრასრუტების კულტურული საგრანტო პროექტის გახსნის ცერემონია, რომელსაც ესწრებოდნენ იაპონიის ელჩი ტადაჰარუ უეჰარა და თავისუფალი უნივერსიტეტის დეკანი თინათინ ქაროსანიძე. საგრანტო თანხის ფარგლებში, რომელიც შეადგენს 73,913 აშშ დოლარს, ახლად გახსნილ იაპონური ენის აუდიტორიას გადაეცა უახლესი სატელეკმუნიკაციო სისტემა-ტელეპრეზენსი, რომელიც საშუალებას მისცემს იაპონური ენის შემსწავლელ სტუდენტებს დაესწრონ დისტანციურ ლექციებს და დისკუსიებს იაპონელი ლექტორების და მათი თანატოლი სტუდენტების მონაწილეობით. იაპონური ენის აუდიტორიას ასევე გადაეცა იაპონური ენის ახალი სახელმძღვანელოები. ცერემონიის დროს შედგა კავშირი ვასედას უნივერსიტეტთან (იაპონია) და სტუდენტებმა დისკუსია გამართეს იაპონურ ენაზე. გრანტი ემსახურება თავისუფალ უნივერსიტეტში იაპონური ენის და ქვეყნის შესწავლის დონის უფრო მეტად ამაღლებას და იაპონია-საქართველოს ურთიერთობების გაღრმავებას.

დისკუსია ვასედას უნივერსიტეტის სტუდენტებთან

იაპონური აუდიტორიის გახსნა

იაპონური ენის აუდიტორიის დაფა